საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუნდუა გიორგი თევდორეს ძე

დუნდუა გიორგი თევდორეს ძე (დ. 12. VII. 1932, თბილისი), ისტორიკოსი, ნუმიზმატი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1996).

1957 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1958–68 მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ბაში, 1968-იდან – ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში, შემდეგ – არქეოლ. კვლევის ცენტრში.

დ. კითხულობს ლექციების კურსს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. იკვლევს ანტ. და ფეოდ. ხანის ქართული ნუმიზმატიკის საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ნუმიზმატიკის დარგში ქართ., რუს., გერმ., ფრანგ., ინგლ. ენებზე.

თხზ.: სამონეტო მიმოქცევის საკითხებისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ძვ. წ. II – ახ. წ. IV სს., წგ.: დიდი პიტიუნტი, [წგ.] 1, თბ., 1975; საქართველოს სამონეტო განძები, თბ., 1979; ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 2006 (თანაავტ. თ. დუნდუა); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009 (თანაავტ. ირ. ჯალაღანია); Денежное обращение центральной Колхиды в V–I вв. до н. э., Тб., 1983 (თანაავტ. Г. Лордкипанидзе); Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.